**ხელშეკრულება** № 01-08-16/449-2018-2
24.05.18

ქ. თბილისი „01" თებერვალი 2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მისი რექტორის არჩილ ფრანგიშვილის სახით (შემდგომში „უნივერსიტეტი") და მეორე მხრივ მეტეხის კერამიკას სახით (შემდგომში "კომპანია"), ვდებთ აღნიშნულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. უნივერსიტეტი ავალებს, ხოლო კომპანია კისრულობს ვალდებულებას შემდეგი მომსახურების გაწევაზე:

ა) კომპანიამ პრაქტიკის გასატარებლად მიიღოს უნივერსიტეტის მიერპრაქტიკაზე გაგზავნილი საბაკალავრო (ან სამაგისტრო ან სადოქტორო) პროგრამის: მშენებლობა შიფრი 0406 (თუ სხვა პროგრამაა ჩაიწერება მისი დასახელება თავისი შიფრით) სტუდენტები 18 (თვრამეტი) რაოდენობით;

ბ)კომპანია პრაქტიკანტებს დაუნიშნავს მენტორს და უზრუნველყოფს პრაქტიკის მაღალდონეზე გატარებას უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული პრაქტიკის სილაბუსისა და დღიურის შესაბამისად;

გ) პრაქტიკის დასრულების შემდეგ კომპანია თითოეულ სტუდენტზე გასცემს ბეჭდით დამოწმებულ დასკვნა-დახასიათებას.

## 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. **კომპანია:**

2.1.1. უწევს ამ ხელშეკრულების 3.1.-ით გათვალისწინებულ მომსახურებას კომპანიის ადგილსამყოფელის მიხედვით: კასპის რაიონი სოფელი მეტეხი;

2.1.2. კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს უნივერსიტეტთან შეთანხმებული საწარმოო პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს მაღალდონეზე შესრულება;

2.1.3. თუ შესრულებული სამუშაო არადამაკმაყოფილებელია, კომპანია ვალდებულია აღმოფხვრას ნაკლი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში უნივერსიტეტს უფლება აქვს გააუქმოს ხელშეკრულება.

2.2. **უნივერსიტეტი:**

2.2.1. კომპანიას მიაწოდოს პრაქტიკაზე გასაგზავნი სტუდენტების სია და პრაქტიკის სილაბუსი.

## 3. მომსახურების ანაზღაურების წესი

3.1. ამ ხელშეკრულებით გაწეული მომსახურება – სტუდენტთა პრაქტიკაზე გატარება წარიმართება ანაზღაურების გარეშე. ერთ წელიწადში სტუდენტი-პრაქტიკანტების რაოდენობა შეიძლება იყოს 150...600, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. კომპანია იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო შეასრულოს ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში.

4.2. . ხელშეკრულების ვადა გრძელდება შემდეგი ერთი წლის ვადით, თუ მხარეებმა წინასწარ არ მიმართეს ერთმანეთს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. ხელშეკრულება ასე შეიძლება გაგრძელდეს 2023 წლის 1 სექტემბრამდე.

## 5. სხვა პირობები

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხარეთა შეთანხმებით.

5.2. მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. ყველადავა. რომელიც წარმოიშობა მოცემულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მისგან გამომდინარეობს, მხარეები გადაწყვეტენ მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში – მიმართავენ სასამართლოს.

5.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ იდენტურ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან. ორივე ეგზემპლიარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6. მხარეთამისამართები, საბანკორეკვიზიტებიდახელმოწერები

| | |
|---|---|
| <u>კომპანია :</u><br><br>შპს „მეტეხის კერამიკა“<br><br>კასპის რაიონი სოფელი მეტეხი<br><br>ხელმოწერა: კ. კახნიაშვილი | <u>უნივერსიტეტი :</u><br><br>სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი<br><br>კოსტავასქ. 77, ს/კ 211349192<br><br>ხელმოწერა: ა. ფრანგიშილი |